დანართი N3

„დამტკიცებულია“
სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის
ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის
2018 წლის 08 ივნისის N 02-03/22 ბრძანებით

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო

აცხადებს კონკურსს

სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების შესყიდვაზე

შესაძენი პროდუქცია:

11 (თერთმეტი) ტელესპექტაკლი რეგიონული თეატრების რეპერტუარიდან:

სსიპ ქ.ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პრიფესიული დრამატული თეატრი

სსიპ ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

სსიპ ქ.ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი

სსიპ ქ.ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრი

სსიპ ქ.სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

სსიპ ქ.ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

სსიპ ქ.ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

სსიპ ქ. ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

სსიპ ქ.ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

სსიპ ქ.ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

სსიპ გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

სსიპ ქ. თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

ააიპ გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის თეატრი

სსიპ მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

განცხადებების მიღების დაწყების თარიღი : 09 ივნისი 2018 წ.

განცხადებების მიღების დასრულების თარიღი: 23 ივნისი 2018წ.

პროექტის განხორციელების პერიოდი: 07/2018 –12/2018

დაფინანსების ოდენობა: 33 000 (ოცდაცამეტი ათასი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის/გადასახდელის ჩათვლით. ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად.

კონკურსში გამარჯვებული ხელშეკრულების გაფორმებამდე ვალდებულია წარმოადგინოს დაფინანსების ოდენობის შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა. (იხ. „ შენიშვნა“)

წინმსწრები (საავანსო) ანაზღაურების ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს 5500 (ხუთი ათას ხუთას) ლარს.

განმცხადებელი კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვალდებულია წარმოადგინოს:

ტელესპექტაკლზე მომუშავე რეჟისორის მიერ ადრე გადაღებული 1 სატელევიზიო კონტენტი (ტელესპექტაკლი, ფილმი, საავტორო გადაცემა; წარედგინება სატენდერო კომისიას DVD დისკზე). წარმოდგენილი ნიმუში ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:
- სარეჟისორო ნამუშევარი: სხვა და სხვა მხატვრული საშუალებების გამოყენება, მასალის სწორი გაერთიანება და იდეასთან შესაბამისობაში მოქცევა, კადრის დადგმა;

-ხმის მაღალი ხარისხი;

- კარგი ოპერატორული ნამუშევარი: კადრის კომპოზიციის აგების სისწორე, კადრის მაღალი ხარისხი, ოპერატორის მაღალი წარმოებრივი კვალიფიკაცია;

-მონტაჟი: კადრის სწორი განლაგება, სცენების დაჭრის ცოდნა, გრაფიკისა და მხატვრული ეფექტების გამოყენების მიზანშეწონილობა.

ბ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

გამარჯვებული განმცხადებლის მიერ მოსაწოდებელი ტელესპექტაკლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) ტელესპექტაკლების თემატიკა შესაბამისობაში უნდა იყოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსით დადგენილ/განსაზღვრულ სტანდარტებთან;

ბ) მოწოდებული გადაცემა უნდა იყოს შეფუთული სრულად (ანონსი, ქუდი, ტიხარი,) შეფუთვა წინასწარ უნდა შეთანხმდეს მიმღებთან.

გ) ტელესპექტაკლი ქრონომეტრაჟი არ უნდა იყოს 1 საათზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 1 საათსა და 45 წუთს.

დ) სატელევიზიო ვერსიის მაღალ ხარისხში (HD-ფორმატით) მინიმუმ სამი კამერით გადაღება;

ე)ხმის მაღალი ხარისხით ჩაწერა (ბუმი);

ვ)მონტაჟის მთავარი კრიტერიუმია - არ დაირღვეს სპექტაკლის თხრობის მთლიანობა;

ზ)ტელესპექტაკლის რეჟისორმა თეატრის დამდგმელ რეჟისორთან ერთად უნდა დაამუშაოს სპექტაკლის სატელევიზიო ვერსია და უზრუნველყოს დამდგმელი რეჟისორის სასცენო ჩანაფიქრის ზუსტი გადმოტანა სატელევიზიო ვერსიაში.

<u>ტელესპექტაკლები უნდა მომზადდეს წინმსწრებად (თვეში არანაკლებ 2 ტელესპექტაკლი). და მოწოდებული უნდა იყოს საეთერო ვადამდე დამკვეთის მიერ დადგენილ ვადებში. თითოეული სპექტაკლის სატელევიზიო ვერსიის მომზადებამდე, ტელესპექტაკლის მომზადების დეტალები (სპექტაკლის დასახელება) წინასწარ უნდა შეთანხმდეს დამკვეთთან.</u>

მოწოდებულ პროდუქტზე საავტორო უფლებები ეკუთვნის სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიას და რადიოს“.

კონკურსის ეტაპები:

ა) კონკურსის გამოცხადება;

ბ) განაცხადის წარდგენა;

გ) განაცხადის დასაშვებობის შემოწმება;

დ) კომისიის მიერ პროექტების შეფასება პროექტების შეფასების კრიტერიუმების მიხედვით და გამარჯვებული პროექტის გამოვლენა;

ე) ხელშეკრულების გაფორმება

გამარჯვებულთან ფორმდება მომსახურების ხელშეკრულება.

განაცხადის წარდგენის წესი:

1.განაცხადი შედგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე. თუ განაცხადი ან მასზე დართული დოკუმენტაცია შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, განმცხადებელი ვალდებულია კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებაში მითითებულ ვადაში, რომელიც არ უნდა სცილდებოდეს განაცხადის მიღების საერთო ვადას, წარადგინოს განაცხადის ან მასზე დართული დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

2. განაცხადი კომისიას წარედგინება მაუწყებლის იურიდიულ მისამართზე, ან მაუწყებლის ელექტრონულ ფოსტაზე info@ajaratv.ge გაგზავნის გზით.

3. ელექტრონული ფორმით განაცხადის მიღების თარიღად და დროდ ითვლება მისი გაგზავნის თარიღი და დრო, რომელიც მითითებულია ელექტრონულ ფოსტაზე. განაცხადი მიღებულად არ ითვლება, თუ განმცხადებელს არ დაუბრუნდა შეტყობინება, იმის შესახებ, რომ დოკუმენტები მიღებულ იქნა და შესაძლებელია მისი წაკითხვა.

შენიშვნა:

კონკურსთან დაკავშირებული სხვა საკითხები, მათ შორის დაფინანსებასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია მაუწყებლის დირექტორის 2018 წლის 20 აპრილის N02-03/14 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ ტელერადიოპროდუქციისა ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვის წესით/დებულებით (გამოქვეყნებულია http://adjaratv.ge);